ბრძანება:**ბ62. 622435215**
თარიღი:**17/12/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 60000.00 კვ.მ სასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.41.156) იჯარის ფორმით პირობიანი ელექტრონული აუქციონის წესით გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ“–ქვეპუნქტის ,,დ.ა“–ქვეპუნქტის, ,,ე“–ქვეპუნქტის ,,ე.ე“–ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22–ე მუხლის მე–2 პუნქტის და 36–ე მუხლის პირველი პუნქტის და ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 60000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.41.156) პირობიანი ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გაცემისთვის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის დადგენის შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 11 დეკემბრის №გ-63. 63243464 განკარგულების მიხედვით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 60000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.41.156) იჯარით ფორმით სარგებლობაში გაიცეს პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით.

1.2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 60000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.41.156) პირობიანი ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის ქირის საწყის წლიურ საფასურად (ქირის საწყის წლიურ ოდენობად) განისაზღვროს 4500 (ოთხიათასხუთასი) ლარი.

1.3. პირობიან ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 60000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.41.156) ბიჯის ოდენობად განისაზღვროს 500 (ხუთასი) ლარი.

1.4. პირობიან ელექტრონულ აუქციონზე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ

ღანირში მდებარე 60000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.41.156) საგარანტიო თანხის ოდენობად განისაზღვროს 1500 (ათასხუთასი) ლარი.

1.5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 60000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.41.156), იჯარის ფორმით, სარგებლობის მომდევნო (საწყისი) ორი წლის განმავლობაში, უნდა განხორციელდეს გრძელვადიანი ინვესტიცია, მრავალწლიანი ნარგავების დარგვით (არანაკლებ ტერიტორიის ორმესამედზე) ან სხვა სამეურნეო ტიპის შენობა-ნაგებოების სახით განთავსებით.

1.6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 60000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.41.156) იჯარის ფორმით სარგებლობისათვის, ქირის გადახდა განხორციელდება ყოველთვიურად.

1.7. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ღანირში მდებარე 60000.00 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.01.41.156), იჯარის ფორმით, სარგებლობის ვადად განისაზღვროს 25 (ოცდახუთი) წელი.

2. თუ პირობიანი ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ ელექტრონულ აუქციონში რეგისტრირებული პირები, რომლებმაც გადაიხადეს ბე ან წარადგინეს/ გააქტიურეს (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, არ მიიღებენ მონაწილეობას ვაჭრობაში, ელექტრონული აუქციონის მონაწილეების მიერ გადახდილი ბე ან წარდგენილი/გააქტიურებული (ელექტრონულად) უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია სრულად ჩაირიცხება სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

დავით ბახტაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი